

შორენა ლომია

## გოგი რთული შეღებნილობის გმნისართის წარმოგავლობისათვის მეგრულში

კოლხური ენის მეგრულ დიალექტში გვხვდება ზმნისართები: დღამუშის 1. „მუდამ“, „ყოველთვის“; 2. „არასოდეს“ და სადღემუშოთ („სამუდამოდ“). სადღემუშოთ მიოდინეს ართ-მაჟია „სამუდამოდ დაკარგეს ერთი-მეორე“. დღამუშის თაშ იჟი „მუდამ ასე იქნება“.

დღამუშის მუთუნისშ მაქიმინალ ვარდჷ „არასოდეს (ზედმიწ. „მის დღე(მ)ში“) არაფრის გამკეთებელი არ იყო“.

ამ უკანასკნელს თავისუფლად ენაცვლება პრეპოზიციური წყობის მუშდლას „მუდამ („თავის დღეში“)“ და მუშ დღა დო მოსწრებას „თავის დღე და მოსწრებას“. ამ ფორმებით შეიძლება აღინიშნოს როგორც წარსული, ისე მომავალი დრო, რა თქმა უნდა, ზმნასთან ერთად.

მუშ დღა დო მოსწრებას მეზობელიშ მუდღეშა ვემნართე („თავის დღე და მოსწრება მეზობლის სახლში ვერ შევა“).

მუშ დღა დო მოსწრებას ეკლესიაშა ვაუღინ („თავის დღე და მოსწრება ეკლესიაში არ წასულა“).

სადღემუშოთ და დღამუშის ფორმებიც შეენაცვლებიან ერთმანეთს, როდესაც ეს უკანასკნელი გამოყენებულია მნიშვნელობით „სამუდამოდ“:

გური მომცუნეს დო სადღემუშოთ რე უღირგ „გული მოგვიყვანეს და სამუდამოდ არის წასული“.

დღამუშის ჰყელო აფუ დოტებული „სამუდამოდ დაწყევლილად ჰყავს დატოვებული“.

მაგრამ სადღემუშოთ ფორმას წარსულის (ფორმით) კონტექსტში ვერ გამოვიყენებთ. დღამუშის ფორმას კი შეიძლება შეენაცვლოს ირო „ყოველთვის“.

ასე ირო (||დღამუშის) თაშ იჟი „ყოველთვის ასე იქნება“.

ირო თეჯგურა რდჷ „ყოველთვის ასეთი იყო“.

ორივე ზმნისართი (დღამუშის და სადღემუშოთ) ყურადღებას იქცევს თავისი აგებულებით. დღამუშის ფორმა ემყარება პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტულ სინტაგმას (დღა მუში „დღე მისი“). გაკომპოზიტების შემდეგ მას დართვია მიცემითის ნიშანი და ქცეულა დროის ზმნისართად (დღამუშის).

შესაძლებელია, ეს ფორმა გახდა ამოსავალი სადღემუშოთ ფორმისათვის: სა-დღე-მუშ-ო-თ

1. სა-ო ქართული მაწარმოებლებია, რომლებიც პროდუქტიულია მეგრულისთვისაც: სა-ბჟალ-ო „სარძევე“, სა-რსხინ-ო „სახსნილო“, სა-კიდირ-ო „სამკერდული“, სა-მორგუალ-ო „სამგლოვიარო“, სა-წმოხონ-ო „სა-მომავლ-ო, საიმედო“.

სადღემუშოთ ფორმაში -ო მაწარმოებელი სუფიქსი ჩანს, რადგან მეგრულში ამ უკანასკნელს თავისუფლად ენაცვლება ე-ხმოვანი, სა-ბჟალ-ო||სა-ბჟალ-ე „სარძევე“. სა-კიდირ-ო||სა-კიდირ-ე „სამკერდული“; სა-მორგუალ-ო||სამორგუალ-ე „სამგლოვიარო“ და სხვ. ამ სახელებზე ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დართვით იწარმოება ზმნისართები: სა-ბჟალ-ო-თ||სა-ბჟალ-ე-თ; სა-კიდირ-ო-თ||სა-კიდირ-ე-თ და ა.შ.

ამდენად, -ო არ შეიძლება იყოს ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი და, რადგან ეს უკანასკნელი ფუძეს შეუერთდა, სა-დღე-მუშ-ო-თ ზმნისართი გაფორმდა როგორც შესაბამისი ო-ხმოვანფუძიანი სახელი. მეგრულში ა, ე, ო ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ყოველთვის გვაქვს -თ.

2. პირველი კომპონენტი—დღე — ქართულია, მეორე კომპონენტი-კუთვნილებითი ნაცვალსახელი მუშ-ი „თავისი“.

სადღემუშოთ ფორმაში დასაშვებია ვიგულისხმოთ დისიმილაციით მიღებული -ე (სადღემუშოთ < სადღამუშოთ) ან „დღამუშის“ ფორმაზე დაყრდნობით მიღებული ქართული წარმოება ქართული დღე-ს გავლენით.

დღამუშის ფორმაში გამოყენებულია მუში, მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელი. თვით ზმნისართი კი იხმარება I და II პირისთვისაც. ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულშიც: მის დღემში არ მითქვამს (არ მინახავს...).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ.თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან VI კომპოზიტი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1959.
2. ა.შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953 წ.
3. ი.ყიფშიძე, Грамматика мингрельского (инверского) языка, 1914 г.
4. არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936 წ.
5. პ.ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997 წ.

---

**SHORENA LOMAIA****ON THE ORIGIN OF SOME COMPOUND VERBAL AFFIXES  
IN MEGRELIAN**

In the Megrelian dialects of the Kolkhis lowland there are verb prefixes as “*dya*mušis (always, never) and “*Sady*mušis taš iqi (It will always last so) “*dya*mušis metuniš makiminal vardag” he has never done anything in his lifetime”).

The latter is freely substituted by the direct order “*muš*aγas” (always in his lifetime) and “*muš dya do moscrebas*”.